



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ოპ31.3123031001

თარიღი:31/01/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1.

ქ. ლანჩხუთი

25. 01. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდლობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშნია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს. საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმალელის ადმინისტრაციული

ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიაზე მდ. "ფიჩორამდე" მისასვლელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის პროექტის მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

10. 2023-2028 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიანი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიანი/

13. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.

მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მისი განმარტებით, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტით დამტკიცებულია „ბიკარბონატული ჰემოდიალევზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)“ პროგრამის ბიუჯეტია 32 000 ლარი. პროგრამით გათვალისწინებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ (170 ლარი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად), ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი (56 ლარის ოდენობით თითო ბენეფიციარზე). ვინაიდან მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ჰემოდიალევზის ცენტრი, აღნიშნული სერვისის მიწოდება ბენეფიციარებისთვის ადგილზე გახდა ხელმისაწვდომი. შესაბამისად მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან ლანჩხუთამდე. სატრანსპორტო ხარჯს მუნიციპალიტეტი აანაზღაურებს შპს „ავტოს“ მიერ მოწოდებული გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი სატრანსპორტო მარშრუტის ღირებულების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში აუცილებელია ჰემოდიალიზის ცენტრში მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფა, სანამ მოხდება ადგილობრივი კადრების გადამზადება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22

დეკემბრის №37 დადგენილებით დამტკიცებულ „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამაში (პროგრამის კოდი 06 02 01) ცვლილების შეტანა, კერძოდ პროგრამის მიზანი და აღწერა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად, შპს ავტოს მიერ მოწოდებული სატრანსპორტო მარშრუტის ღირებულების შესაბამისად ქ. ლანჩხუთამდე და უკუმიმართულებით. ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი (56 ლარის ოდენობით თითო ბენეფიციარზე). ასევე მუნიციპალიტეტი განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ჰემოდიალიზის ცენტრში მოწვეული სპეციალისტების ბინით უზრუნველყოფას. დახმარების გასაცემად აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა დადგენილება N1(25.01.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალექო კირვალიძემ. მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომ –ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის განაშენიანების გეგმა და მისი თანმდევი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია: ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა მთლიან გეგმარებით ერთეულზე და სანაპირო ზოლის განაშენიანების დეტალური გეგმები (სულ 17 სამეზობლოზე). ინსტიტუტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით შეიმუშავა ხსენებული დოკუმენტაცია და წარმოგიდგინა: ნაბეჭდის სახით ალბომი 3 ეგზემპლარი. (გეოინფორმაციული სისტემების მასალების ელექტრონული ვერსია DVD-ზე 5 ეგზემპლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვის მიზნით, 2021 წლის 18 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა საჯარო განხილვა, სადაც მოსმენილ იქნა დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით. 2021 წლის 28 სექტემბერს, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, გაიმართა განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხილვა. განაშენიანების გეგმის პროექტი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნა დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებითა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების პოზიციების შეჯერების შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმის საბოლოო დაზუსტებული ვერსია და მისი თანმდევი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ თანახმად, განაშენიანების გეგმას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24- ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ე“ პუნქტის თანახმად კი, საკრებულო ხსენებულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის წარდგინებით. ამასთანავე, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გთხოვთ დაავალთ შესაბამის სამსახურს/ პირ(ებ)ს უზრუნველყოს მოწოდებული დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენა.

საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტის თავმჯდომარემ **ვახტანგ ჯოხაძემ** ისაუბრა „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმის საბოლოო დაზუსტებული ვერსიისა და მისი თანმდევი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ირგვლივ და განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებითა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების პოზიციების შეჯერების შედეგად. მან გამოთქვა მზაობა, დაინტერესებული პირებისთვის ეპასუხა, პროექტის ირგვლივ დასმულ კითხვებზე.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ განიხილა და მოიწონა ეს პროექტი. ის დაინტერესდა, რა ღონისძიებები იქნება გატარებული სასტუმროებს „ანდამატსა“ და „ვილა რეტას“ შორის მონაკვეთზე მდებარე არასტანდარტული შენობების და სანაპირო ზოლთან მისასვლელი ჩაკეტილი(შემოღობილი) გზების მიმართ.

საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტის თავმჯდომარემ **ვახტანგ ჯოხაძემ** განმარტა, რომ ზოგადად მიწათმშენებლობაში და ქალაქთმშენებლობაში არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც ახალ რეგულაციებს არ შეესაბამება ცხადდება შეუსაბამო ობიექტებად, რომლის მიხედვითაც შესაუთრეს, შენობა-ნაგებობის არსებობის ვადით, უნარჩუნდება მისი გამოყენების უფლება, მაგრამ არ ეძლევა განვითარების(დაშენება, გაფართოება) უფლება, ხოლო მისი ჩანაცვლების შემთხვევაში, უნდა დაიცვას ახალი პარამეტრები და არ დაარღვიოს სამეზობლო პრინციპი. მისი განმარტებით, განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული პარამეტრების დარღვევა არის გადამეტება. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხდება შესაბამისობის გადამეტება დასაშვებია მაშინ, როდესაც შენობა-ნაგებობას გააჩნია განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ინტერესი, უნდა იყოს არსებულზე უკეთესი, არ უნდა ლახავდეს სამეზობლო ინტერესებს და ჯანსაღ გარემო პირობებს, რაც გათვალისწინებულია სამშენებლო კოდექსით და უნდა ჯდება განაშენიანების გეგმის ფარგლებში. სანაპირო ზოლში დაუშვებელია ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობა და შემოღობვა, დასაშვებია მხოლოდ დროებითი ობიექტების გაკეთება, რომელთაც არ ექნება საძირკველი და წონა. პლაჟების შემოღობვა რეგულირდება დარგობრივი კანონმდებლობით დასაბუთების საფუძველზე, ხოლო მისი სარგებლობის დამატებითი პარამეტრების დადგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტს. „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმაში ჩადებულია გზების გაფართოების საკითხიც.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ დღეს მნიშვნელოვანი დღეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის, რადგან მტკიცდება „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმა. მისი თქმით, გეგმა არაერთხელ განიხილა ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომელშიც ჩართული იყო საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტის წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექო კირვალიძე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** ასევე აღნიშნა, რომ „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმის დამტკიცება ხელს შეუწყობს ამ ზონისთვის საჭირო პირობების შექმნას, განვითარებას და რაც მთავარია ტურისტულად უფრო მიმზიდველი გახდება ეს სანაპირო ზოლი. დასასრულს მან მაძღობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი შრომით, წვლილი შეიტანა ამ დიდ საქმეში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N2(25.01.2023).**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალექო კირვალიძემ. მისი განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი აქვს ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:

1. ქ. ლანჩხუთში 9 ქუჩის (მშვიდობის, ხომერიკის, გ.ურუშაძის, გურიელის, გორგასლის, ვაჟა-ფშაველას, ნათლისმცემლის, ყაზბეგის და ჭანტურიას) რეაბილიტაცია 4500000 ლარი;
2. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 360000 ლარი;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. არჩული-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1000000 ლარი;

სულ ჯამი 5860000 ლარი.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში პრიორიტეტები არასწორადაა დალაგებული, რის გამოც ისინი მხარს არ დაუჭერენ ამ პროექტს. კერძოდ, პროექტში არ არის გათვალისწინებული დაპირებული 250 მეტრიანი ბეტონის სანიალვრე არხის მოწყობა ხიდმაღალაზე, ასევე, პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იყო ამ გზის მოწესრიგებაც.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ხიდმაღალაზე 250 მეტრიანი ბეტონის სანიალვრე არხის მოსაწყობად, ტენდერის საშუალებით უკვე გამოვლენილია მოგებელი კომპანია და სამუშაოები დაიწყება უახლოეს დღეებში, ხოლო რაც შეეხება გზის საფარს, შეამოწმა შესაბამისმა კომისიამ და სამუშაოები გაგრძელდება შემდგომი პროცედურების მიხედვით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი 3 წევრი(მაკა მშვიდობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და გოჩა ჯანაშია).
მიღებულ იქნა განკარგულება N1(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიაზე მდ. "ფიჩორამდე" მისასვლელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის პროექტის მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების

უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალექო კირვალიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სხვადასხვა ფონდიდან საჭირო თანხების მოძიების შემთხვევაში, განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი აქვს, 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტი.

კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიაზე მდ. "ფიჩორამდე" მისასვლელ გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა ღირებულებით 1000000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N2(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი აქვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტში ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: დადგენილებაში დაფინანსების წყაროდ მითითებულია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი და იმისათვის, რომ დადგენილება გავრცელდეს 2023 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხდება აღნიშნული ჩანაწერის რედაქტირება. გარდა ამისა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნით ზუსტდება ბენეფიციართა წრე, დაფინანსების ზედა ზღვართან ერთად ფიქსირდება ქვედა ზღვარი და ასევე განისაზღვრება, რომ მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით. გათვალისწინებულია ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობის შესაძლებლობა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმით. ასევე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია პროგრამის დაფინანსებისათვის 100 000 ლარი, ხოლო დამატებით 100 000 ლარის მიღება გრანტის სახით დაგეგმილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N3(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29

დეკემბრის N 2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 219 929 (სამი მილიონ ორასცხრამეტი ათას ცხრას ოცდაცხრა)ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3 219 929 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 169 472 ლარი, რომელიც მიიძღრება დანართი N1 -ის (თან ერთვის)თანახმად.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრიდან შემოვიდა წერილი, რომლის მიხედვითაც ითხოვენ პირველი კვარტლის „საქონელი და მომსახურების „2.2 მუხლიდან 1688 ლარის გადატანას „არაფინანსური აქტივების“ 3.1 მუხლში, რათა აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე სასწრაფოდ შეიძინონ კომპიუტერული მოწყობილობა.

აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ბიუჯეტის ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N4(25.01.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება. ვინაიდან დადგენილების მისაღებად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოება, წარმოდგენილი აქვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N5(25.01.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით,

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი ცვლილების ინიცირება. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უკვე განსაზღვრულია საკრებულოს მიერ დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში. ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, წარმოდგენილი აქვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N6(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუბუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ, მაგდა ბოლოთაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“ შორის გაფორმებულ 2022 წლის 1 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებას (სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებაა - ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობა (ს/კ 27.06.52.141)) მოქმედების ვადა ეწურება 2022 წლის 31 დეკემბერს. მან ითხოვა აღნიშნული ფართის, 2023 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. სამსახურმა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 14 015 ლარიდან 10%-ის ოდენობით განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1401,5 ლარი, პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N7(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეათე საკითხი: 2023-2028 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ**. მან განმარტა, რომ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი აქვს „2023-2023 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. პროექტის მომზადების მიზნით „მწვანე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი“-ს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე. პროექტი განხორციელდა კავშირი „ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით და დაფინანსდა კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის (CENN) პროექტის, „საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში“ ფარგლებში. „მწვანე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი“-ს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრმა, ადგილობრივი განვითარების ექსპერტმა, **ამირან გიგინეიშვილმა** მადლობა გადაუხადა „მწვანე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი“-ს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს გაწეული სამუშაოებისთვის და შემოვიდა წინადადებით, რომ მოხდეს აღნიშნული გეგმის სათაურის კორექტირება შემდეგი სახით: „2023-2028 წლების მწვანე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიისა და განხორციელების გემა“.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N8(25.01.2023).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ზემოთაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N2 დადგენილება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა როგორც დასახელებული დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი, ისე შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX ITL X CX K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი მუხლის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN = 0,38 X 1 X 0,24 X 100 = 9,12$.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N9(25.01.2023).**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 13 დეკემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა მოქალაქე მაია კვაჭაძემ, რომელიც შეეხებოდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8369 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.09.50.410) 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემას იჯარის ფორმით, მასზე საპარკინგე ადგილის და სწრაფი კვების ობიექტის მოსაწყობად. მოგახსენებთ რომ შესაძლებელია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „გ“, „ე“ პუნქტების, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ „დ“ ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით გაიცეს, ამავე დადგენილების 36-მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი საფასურის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ქირის საფასურს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყის საფასურს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ამ წესის 34-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით, ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გაიცეს სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8369 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.09.50.410) 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონების ქირის საწყისი საფასურის ოდენობა შეადგენს 3600 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N10(25.01.2023).**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, რა ხდება საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიასთან“ დაკავშირებით.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ შპს ჯიბიარს გაეგზავნა წერილობითი გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. მასვე განემარტა, რომ უნდა წარმოადგინოს 2023 წლის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხოლო

მითითებულ ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგის გაუქმებას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რა ხდება, ინვესტორის მიერ, გასული 2022 წლის ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ ამჟერადაც, მითითებულ ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგის გაუქმებას.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდლობაძემ** აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ხინკალს და მცხეთურ ღვეზელს. მისი მოსაზრებაა, რომ შესაძლოა იგივე სტატუსი მიენიჭოს გურულ ღვეზელს და ბრინჯულას, რომლის შესახებაც მან პირადად აცნობა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს და მის პირველ მოადგილეს ეკა გუჯაბიძეს, ასევე საქმის კურსში ჩააყენა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მდივანი, რომელიც შეჰპირდა, რომ გადმოუგზავნის ამ საქმისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხას. მან ინფორმაციის სახით გააჟღერა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთან“ შეიქმნება მუშა ჯგუფი აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში უკვე თერთმეტი წელია დგას სანიაღვრე არხების ბეტონით მოწესრიგების საკითხი და კარგი იქნება, თუ რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხით მოხდება ამ საკითხის მოგვარება.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ სტიქიის სალიკვიდაციოდ, ურთულესი სამუშაოების დროულად შესრულების გამო, წახალისებული იქნება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის და მერიის შესაბამისი სამსახურები.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გრიგოლეთში მცხოვრებ, უკიდურესად შეჭირვებულ, მაია მოდებაძეს სტიქიის შედეგად ნაწილობრივ დაუზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავი და ითხოვა დახმარება.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ **მაკა მშვიდლობაძემ** აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ითხოვს ქირავნობის უფლებით მოსარგებლე მოქალაქეების სიას. მისი თქმით, წერილზე რეაგირების ვადა ამოიწურა, მაგრამ პასუხი არ ჩანს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ** განმარტა, რომ ვადის ფარგლებში, რეაგირების გარეშე არ დარჩება არც ერთი წერილი და განცხადება, რომელიც შემოსულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურში.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 იანვარი 2023 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:58	
2	ემზარ თევდორაძე	11:40	
3	ვერიკო კვიციანი	—	—
4	გიორგი ჩახვაძე	11:55	
5	გიორგი ხელაძე	11:50	
6	ალექსანდრე მახათაძე	—	—
7	ზაზა წულაძე	11:50	
8	კარლო კვიციანი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:56	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	—	—
12	მაკა მშვიდლობაძე	11:55 მს.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:57	
17	გოგი მორჩილაძე	11:55	
18	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
19	გიორგი გოგუაძე	—	—
20	გოჩა ჯანაშია	11:50	
21	ელისო ჭიჭინაძე	—	—
22	რევაზ კვერენჩილაძე	11:50	
23	კახა თედორაძე	—	—

24	დარეჯან ბურჭულაძე	1155	მ. მ. მ.
25	ირმა მგელაძე	-	
26	გივი ცინცაძე	-	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	1150	ჯ. ბ.